

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ
საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 1

ქ. ლანჩხუთი

24.01.2019 წელი

16.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**;

კომისიის წევრები: ცისანა ურუშაძე, გოდერძი ქურიძე, რეზო კვაჭაძე, ზაალ სანაძე, ბესიკ კუპრაძე, გიორგი გვარჯალაძე, კარლო კვიციანიშვილი, ამირან ქანთრია.

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი **ია ჩხაიძე**; საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე**, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია**.

სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/ მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/ მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/

5. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან განაცხადა, რომ 2019 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელდება 16 სოციალური პროგრამა. ეს პროგრამებია:

- 1) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - 90 000 ლარი;
- 2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - 34 400 ლარი;
- 3) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - 67 000 ლარი;
- 4) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა - 53 000 ლარი;
- 5) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა - 7 600 ლარი;
- 6) დღის ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა - 12 000 ლარი;
- 7) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - 39 800 ლარი;
- 8) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა - 12 200 ლარი;
- 9) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - 70 000 ლარი;
- 10) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა - 40 000 ლარი;
- 11) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა მუშუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის - 36 000 ლარი.
- 12) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა - 2 000 ლარი.
- 13) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა 2 500 ლარი.
- 14) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა - 13 500 ლარი.
- 15) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა - 60 000 ლარი.
- 16) შშმ პირის სატაქსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა - 10 000 ლარი.

დეპუტატმა **ცისანა ურუშაძემ** განაცხადა, რომ „მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა“ საკმაოდ კარგადაა მორგებული ბენეფიციარებზე, მაგრამ სასურველია გადამოწმდეს ბენეფიციართა დოკუმენტაცია, ასევე დაინტერესდა თუ როგორ ხდება ბენეფიციართა ჩართვა აღნიშნულ პროგრამაში.

სამსახურის ხელმძღვანელმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამა ემსახურება უკიდურესად შეჭირვებულ მოხუცებს და შშმ სტატუსის მქონე პირებს. ყველა ბენეფიციარი აკმაყოფილებს დოკუმენტაციის მოთხოვნებს. ასევე განმარტა, რომ მერის წარმომადგენლები ტერიტორიული ერთეულებიდან აწვდიან უკიდურესად შეჭირვებული ოჯახების ნუსხას. ასევე თვითონ მოქალაქის მომართვიანობის შემთხვევაშიც შესამღებელია ჩაერთოს აღნიშნულ პროგრამაში.

კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სოფელში მაცხოვრებელ ბენეფიციარებს კვირაში ორჯერ მიეწოდებათ საკვები. აუცილებელია ყოველდღიურად მიეწოდოთ საკვები და კომისიის წევრების მიერ გადამოწმდეს მათი კვების რაციონი.

დეპუტატმა **ცისანა ურუშაძემ** განაცხადა, რომ „შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ ითვალისწინებს არასრულწლოვანი ბავშვების რეაბილიტაციას, ისინი სხვადასხვა ქალაქებში გადიან აღნიშნულ მკურნალობას, სასურველია დაფინანსდეს მათი მგზავრობის ხარჯიც.

დეპუტატმა **ამირან ქანთარია** გამოთქვა მოსაზრება, რომ ომის ვეტერანებისთვის არ უნდა იყოს განსაზღვრული ქულების ოდენობა, რათა მიიღონ ფულადი დახმარება.

თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ სარეიტინგო ქულების ოდენობა არ ეხება მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანებს, ეს ეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების შეჭირვებული ოჯახების (60 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს და საქართველოს ტერიტორიული

მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება.

დეპუტატი **ბესიკ კუპრაძე** დაინტერესდა, თუ რა ცვლილებებია „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“-ში.

თამარ ფირცხალაიშვილმა განაცხადა, რომ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო კვლევების თანადაფინანსება, ასევე არაპროგრამული რეფერალური მომსახურება უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშე.

დეპუტატმა **ცისანა ურუშაძემ** განაცხადა, რომ სოციალურად შეჭირვებულ ბენეფიციარებს, რომელთაც 65 000 ქულაზე ნაკლები აქვს, სოციალური სააგენტო სთვაზობს გარკვეული დასახელების მედიკამენტებს. ხშირ შემთხვევაში მედიკამენტების ჩამონათვალთა ნუსხა არ შეესაბამება ექიმის მიერ გამოწერილ მედიკამენტებს. ამდენად მიზანშეწონილია არ განისაზღვროს ქულათა რაოდენობა, რათა დაეხმარონ უკიდურესად შეჭირვებულ ბენეფიციარებს.

სამსახურის ხელმძღვანელმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განაცხადა, რომ „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამის“ კუთხით გარკვეული პრობლემებია. როდესაც კომისია განიხილავს მოქალაქეების დოკუმენტაციას, თან დართული აქვს ფორმა 100, რომელიც საჭიროებს ექიმის კონსულტაციას. ამდენად აუცილებელია კომისიის შემადგენლობაში იყოს ექიმი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე გათვალისწინებული იქნას შემდეგი სახის შენიშვნები:

1. „მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში გათვალისწინებული იქნას სოფლებში მცხოვრებ ბენეფიციარებს ყოველდღიურად მიეწოდოს საკვები.

2. „შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ ითვალისწინებს არასრულწლოვანი ბავშვების რეაბილიტაციას, ისინი სხვადასხვა ქალაქებში გადიან აღნიშნულ მკურნალობას, სასურველია გათვალისწინებული იქნას მათი მგზავრობის ხარჯი.

3. „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა“-ში მიზანშეწონილია არ განისაზღვროს ქულათა ოდენობა.

განკარგულების პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 30 იანვარს სხდომას განსახილველად.

მომხრე 9; წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან განაცხადა, რომ სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

- ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის

პროგრამა;

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;

ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;

ვ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“

სარეაბილიტაციო პროგრამა მუშუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა.

ჟ) შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა:

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

3. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.

4. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე.

დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 30 იანვარს სხდომას განსახილველად.

მომხრე 9, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა

სამსახურის ხელმძღვანელმა ია ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა 4 პროგრამა:

1. განათლების ხელშეწყობის პროგრამა (7 500 ლარი);

- ა) ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა (3 500 ლარი);
- ბ) განათლების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისების ქვეპროგრამა (3000 ლარი);
- გ) ტრანსპორტირების ქვეპროგრამა (1 000 ლარი);

2. კულტურის ღონისძიებების პროგრამა (17 500 ლარი);

- ა) კულტურული ღონისძიებების ორგანიზების ქვეპროგრამა (13 500 ლარი);
- ბ) კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანებისა და შემოქმედებითი კოლექტივების წახალისების ქვეპროგრამა (1 000 ლარი);
- გ) ტრანსპორტირებით დახმარების ქვეპროგრამა(1 000 ლარი);
- დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების ქვეპროგრამა(1 000 ლარი);
- ე) კულტურული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა(1 000 ლარი);

3. სპორტული ღონისძიებების პროგრამა (16 000 ლარი);

- ა) საჩუქრების და პრიზების შეძენის ქვეპროგრამა (3 000 ლარი);
- ბ) წარმატებული, ახალგაზრდა, ვეტერანი და ღვაწლმოსილი სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების ქვეპროგრამა (6 000 ლარი).
- გ) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის ქვეპროგრამა (3 000 ლარი);
- დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების ქვეპროგრამა(2 500 ლარი);
- ე) ტრანსპორტირებით მხარდაჭერის ქვეპროგრამა (1 500 ლარი);

4. ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა (9 000 ლარი);

- ა) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების ქვეპროგრამა (6 000 ლარი);
- ბ) შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა (3 000 ლარი).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის სხდომას განსახილველად.

მომხრე - 9, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე ისახება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა იაჩხაიძემ

1. განათლების ხელშეწყობის პროგრამა;
2. კულტურის ღონისძიებების პროგრამა;
3. სპორტული ღონისძიებების პროგრამა;
4. ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამა.

წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებების კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნაღდო ანგარიშსწორების გზით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის სხდომას განსახილველად.

მომხრე - 9, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №1 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი

24.01.2019 წ.

2019 წლის 24 იანვარს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა. სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.
2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.
3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.
4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე გამოითქვა სახის შენიშვნები:

1. „მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში გათვალისწინებული იქნას სოფლებში მცხოვრებ ბენეფიციარებს ყოველდღიურად მიეწოდოს საკვები.

2. „შპს პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ - ში გათვალისწინებულ იქნას მათი მგზავრობის ხარჯი.

3. „მედიკამენტების შეტენაზე დახმარების პროგრამა“ -ში მისთანშეწონილია არ განსაზღვროს ქულათა სხდომის დადგენილი იდენობა.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 30 იანვარის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი 1. „ღანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გადგმისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს 2019 წლის 30 იანვარის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი 1. „ღანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განაოღების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 30 იანვარის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი 1. „ღანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი იანსის გადგმის წესის დამტკიცების შესახებ“ ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს 2019 წლის 30 იანვარის სხდომას განსახილველად.

ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ემზარ თევდორაძე

ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
24.01.2019 წელი
16.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თაგუჯდომარე – ეშვარ თევდორაძე	15.55	
2. კარლო კვიციანიშვილი	16.00	
3. გოდერძი ქურძე	16.00	
4. კახა თედორაძე	—	ახ ესნებოდა
5. რეზო გვაჭაძე	15.50	
6. ზაალ ხანაძე	15.55	
7. ზესიკ კუპრაძე	16.00	
8. ამირან ქანთარია	16.00	
9. გიორგი გვარჯალაძე	16.00	
10. რეზო კვერენჩხილაძე	—	ახ ესნებოდა
11. ელისო ჭიჭინაძე	—	ახ ესნებოდა
12. ამირან გიგინეიშვილი	—	ახ ესნებოდა
13. დელა ჩახვაძე	—	ახ ესნებოდა
14. ცისანა ურუშაძე	16.00	